



865/3-6/22
02-02-2022

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის,
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს

საქართველოს კონსტიტუციის 43-ე მუხლისა და საქართველოს პარლამენტის
რეგლამენტის 148-ე მუხლის საფუძველზე, გთხოვთ, მომაწოდოთ შემდეგი
ინფორმაცია:

1. როგორც ჩვენთვის ცნობილია ჯანდაცვის სამინისტროში მოქმედებს ე.წ.
"ექსპერტიზის პროგრამა", რომელიც რთულად სადიაგნოსტიკო დაავადების
შესწავლას (დიაგნოზის დასმა და ა.შ.) ეხება. გთხოვთ, მოგვაწოდოთ ინფორმაცია
ზუსტად რას მოიაზრებს "ექსპერტიზის პროგრამა".
2. ყველა ის ნორმატიული აქტი, რომელიც არეგულირებს ზემოაღნიშნულ
ექსპერტიზის პროგრამასთან დაკავშირებულ საკითხებს.
3. ინფორმაცია იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ არის მოწესრიგებული:
 - ჯანდაცვის სამინისტროს ექსპერტის დანიშვნის პროცედურა.
 - რა პროცედურებთან არის დაკავშირებული ექსპერტიზის ჩატარება? რას უნდა
ითვალისწინებდეს საექსპერტო დასკვნა? ის შეეხება მხოლოდ სავარაუდო ან
დადგენილი დიაგნოზის დასმას თუ სამედიცინო პროცედურის შესახებ (ოპერაცია
და სხვა) ინფორმაციასაც?
3. ევალუა თუ არა სამინისტროს (ან ექსპერტს) მოიკვლიოს საექსპერტო საკითხთან
დაკავშირებული სამედიცინო მომსახურების (ოპერაცია, რეაბილიტაცია,
მკურნალობა) შედეგები (წარმატება, ლეტალობა, შეზღუდული შესაძლებლობების
გამოწვევა და ა.შ.) ასევე, სავალდებულოა თუ არა მოკვლევის შედეგების ასახვა
დასკვნაში?

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
ლევან ბეჟაშვილი



საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის,
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

Ministry of Internally Displaced Persons from the Occupied Territories,
Labour, Health and Social Affairs of Georgia



KA030158559779722

საქართველო, თბილისი 0119, აკ.წერეთლის გამზ.144; ტელ.: (+995 32) 251 00 11; ცხელი ხაზი: (+995 32) 251 00 26; 15 05; ელ.ფოსტა: info@moh.gov.ge
144 Ak.Tsereteli ave., 0119, Tbilisi, Georgia; Tel: (+995 32) 251 00 11; Hot line: (+995 32) 251 00 26; 15 05; E-mail: info@moh.gov.ge

№ 01/5553

23 / თებერვალი / 2022 წ.

საქართველოს პარლამენტის წევრ
ბატონ ლევან ბეჟაშვილს

ბატონო ლევან,

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში შემოსული თქვენი N865/3-6/22 წერილის პასუხად, თქვენს მიერ დაინტერესებულ საკითხებთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ მინისტრის 09.09.2021 წლის № 01-355/ო ბრძანებით დამტკიცებულია სამინისტროს ექსპერტთა სია „საექიმო სპეციალობათა, მომჩივნავე საექიმო სპეციალობათა და სუბსპეციალობების შესაბამისი სპეციალობების ნუსხის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 18 აპრილის N136/ნ ბრძანების მოთხოვნათა შესაბამისად.

იმისათვის, რომ პირი აღიარებულ იქნას სამინისტროს ექსპერტად აუცილებელია შესაბამისი დარგის ასოციაციამ გაუწიოს რეკომენდაცია და დაასაბუთოს ამ დარგში დასახელებული კანდიდატურის მაღალკვალიფიციურობა.

სამინისტროს ექსპერტის ერთ-ერთი მოვალეობაა სამინისტროს მიმართვის საფუძველზე შესაბამისი საკონსულტაციო დახმარება, რაც ასევე, გულისხმობს საქართველოს ფარგლებს გარეთ ავადმყოფის მკურნალობის აუცილებლობის შესახებ დასკვნის გაცემას. აღნიშნული ითვალისწინებს განმცხადებლის მიერ წარმოდგენილ სამედიცინო დოკუმენტაციაზე დაყრდნობით საზღვარგარეთ ავადმყოფის მკურნალობის აუცილებლობის შესახებ დასკვნის გაცემას, რაც თავის მხრივ მოიცავს ექსპერტის მიერ საზღვარგარეთ ავადმყოფის მკურნალობის აუცილებლობის მიზეზის და რეკომენდირებული ქვეყნის დასახელებას.

მოქალაქის მიერ სამინისტროში წარმოსადგენი დოკუმენტაციაა:

- ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ (ფორმა № IV-100/ა), სადაც მკაფიოდ და დეტალურად იქნება განმარტებული ყველა პუნქტი, შესაბამისი ICD-10 და/ან NCSP კოდების მითითებით: დასკვნა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ან სრული დიაგნოზი (ძირითადი დაავადება, თანმხლები დაავადებები, გართულებები), გადატანილი დაავადებები, ანამნეზი, ჩატარებული დიაგნოსტიკური გამოკვლევები და კონსულტაციები, ავადმყოფობის მიმდინარეობა. საზღვარგარეთ მკურნალობის/ დიაგნოსტიკის დაფინანსების მოთხოვნის შემთხვევაში, ფორმა № IV-100/ა-ში დამატებით უნდა იყოს ექიმის რეკომენდაცია საზღვარგარეთ მკურნალობის/დიაგნოსტიკის საჭიროების თაობაზე (ICD-10 და NCSP კოდების მითითებით);
- სამედიცინო მომსახურების ხარჯების ანგარიშ ფაქტურა, კალკულაციით. უცხოეთიდან წარმოდგენილ ანგარიშფაქტურასა და კალკულაციაში (ნათარგმნი და დამოწმებული ნოტარიალურად) მითითებული უნდა იქნეს დანახარჯები შემდეგი ჩაშლის მიხედვით:
არასამედიცინო მომსახურება (ტრანსფერი, სასტუმრო, თანმხლები პირი სხვა);
სამედიცინო მომსახურება: ოპერაციული ჩარევა; კონსერვატიული მკურნალობა;
დიაგნოსტიკა.ქიმიოთერაპია; სხივური თერაპია და სხვა).

რაც შეეხება იმ საკანონმდებლო აქტებს, რომელთა საფუძველზეც ხორციელდება საქართველოს ფარგლებს გარეთ მკურნალობის/დიაგნოსტიკის დაფინანსების მოთხოვნის შემთხვევაში სამინისტროს ექსპერტებთან კომუნიკაცია გაცნობებთ, რომ აღნიშნული საკითხი რეგულირდება „რეფერალური მომსახურების“ ფარგლებში შესაბამისი სამედიცინო დახმარების გაწევის შესახებ გადაწყვეტილების მიღების მიზნით კომისიის შექმნისა და მისი საქმიანობის წესის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 3

ნომბრის №331 დადგენილების საფუძველზე.

პატივისცემით,

პოლიტიკის დეპარტამენტის უფროსი,
პირველადი სტრუქტურული ერთეულის
ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი

ხელმოწერა/
შტამპდასმულია
ელემენტრონულად



ეკატერინე ადამია